დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველთა საბჭოს სხდომის
ოქმი N1

ქ. დმანისი 2022 წლის 15 ნოემბერი

სხდომას ესწრებოდნენ დმანისის მუნიციპალიტეტის გამგებლის მრჩეველები:
1. ჯუმბერ კოპალიანი;
2. ალმაზ ალაზოვი;
3. რამილ ასლანოვი;
4. ზაურ გრიგალაშვილი;
5. ინტიზამ ვეზიროვი;
6. ლია კვიციანი;
7. სოფო დევნოზაშვილი;
8. სენზორი ხორბალაძე (არ ესწრება);
9. ლამზირა კარალოვა;
10. ეკა ოქრიაშვილი;

სხდომის თავმჯდომარე კობა მურადაშვილი, ასევე ესწრებოდნენ საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თემური ტატულაშვილი და ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ბექა ლაგურაშვილი.

მერმა მრჩეველთა საბჭოს გააცნო სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნის არსი და მნიშვნელობა და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 86[1]-ე მუხლის შესაბამისად განსახილველად წარუდგინა დმანისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: ჯუმბერ კოპალიანმა, ეკა ოქრიაშვილმა, სოფიკო დევნოზაშვილმა და ლია კვიციანმა, რომლებმაც განმარტეს, რომ გაცნობილი არიან ბიუჯეტის ზოგად პარამეტრებს.

ეკა ოქრიაშვილმა აღნიშნა, რომ მისასალმებელია შემდეგი ფაქტი, რომ დმანისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია ხანდაზმულთა ღირსეული დაბერებისა და შინ მოვლის პროექტის თანადაფინანსების პროგრამა.

სოფიკო დევნოზაშვილმა განმარტა, რომ დმანისის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებში ჩატარდა გამოკითხვა, სადაც გამოიკვეთა შიდა მუნიციპალური ტრანსპორტის არ არსებობის საკითხი და აღნიშნა, რომ სასურველი იქნება, თუ მუნიციპალიტეტი შეიმუშავებს შესაბამის პროგრამას.

ზაურ გრიგალაშვილი დაინტერესდა შიდა მუნიციპალურ გზებზე მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტებით და აღნიშნა, რომ სამუშაოები მიმდინარეობს კარგი ტემპით და მისასალმებელია, რომ 2023 წლის ბიუჯეტში მნიშვნელოვნადაა გაზრდილი მსგავსი ტიპის ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის თანხები.

დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველთა საბჭომ გადწყვიტა:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 86[1]-ე მუხლის შესაბამისად მოწონებული იქნას დმანისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი და დასამტკიცებლად წარედგინოს დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

სხდომის თავმჯდომარე: კობა მურადაშვილი